საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

# ყოველდღიური ეკონომიკური დაიჯესტი

16 აგვისტო, 2010

## მთავარი თემები

- 2010 წლის იანვარ-ივლისში, აჭარაში სულ 419 868 ვიზიტორი ჩავიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3-ჯერ მეტია
- 2010 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართული აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 357 500 ლარი შეადგინა

## სიახლეები

### ტურიზმის სექტორი

**აჭარის ტურიზმისა და კურორტების დე-პარტამენტის ინფორმაციით, 2010 წლის იანვარ-ივლისში, აჭარაში სულ 419 868 ვიზიტორი ჩავიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3-ჯერ მეტია.**

მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში ჩასული ვიზიტორების რაოდენობა 2008 წლის ანალოგიურ პერიოდის მონაცემებს 3,1-ჯერ აღემატება.

2009 წლის იანვარ-ივლისში, აჭარაში სულ 140 742 ვიზიტორი ჩავიდა, ხოლო 2008 წლის იანვარ-ივლისში 136 975.

2010 წლის პირველ შვიდ თვეში აჭარაში ჩასულ უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა იყო 120 053, რაც 2009 წლის დროის იმავე პერიოდთან შედარებით 3-ჯერ მეტია, ხოლო 2008 წელთან შედარებით კი 2,6-ჯერ მეტი. 2009 წლის იანვარ-ივლისში აჭარას სტუმრობდა 40 123 უცხოელი ვიზიტორი, ხოლო 2008 წელს კი - 45 390.

2010 წლის იანვარ-ივლისში, აჭარაში უცხოელ ვიზიტორთა უმეტესობა, კერძოდ 42% - თურქეთიდან ჩავიდა (მთლიან ვიზიტორთა 12%), რაც 3,6-ჯერ მეტია 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2010 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით, თურქეთს მოჰყვება სომხეთი (უცხოელ ვიზიტორთა 33,5%, ხოლო მთლიან ვიზიტორთა - 9,6%), აზერბაიჯანი (უცხოელ ვიზიტორთა 12,7%, ხოლო მთლიან ვიზიტორთა - 3,5%).

### ბუნებრივი რესურსები

**2010 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართული აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 357 500 ლარი**

საკონტაქტო პირები:

**ლალი ღოღობერიძე**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
lalig@economy.ge

**ეთერ მამუკელაშვილი**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი
(+99599) 16 41 96
eteri@economy.ge

შეადგინა.

გაყიდული ობიექტებია:

⇒ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ამბროლაურის ყოფილი სატყეო უბანი - თლუღი, კვარტალი № 21, 2010 წლისათვის პროგნოზული მოცულობა 69,6 ტონა (275 000 ლარი);

⇒ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ამბროლაურის ყოფილი სატყეო უბანი - თლუღი, კვარტალი № 30, 2010 წლისათვის პროგნოზული მოცულობა 18,2 ტონა (82 500 ლარი).

ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წლით განისაზღვრება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, 2010 წლის პირველ 6 თვეში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართული აუქციონების შედეგად შემოსული თანხა 4,5 მლნ. ლარს შეადგენს.

## სოფლის მეურნეობის სექტორი

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2009 წელს, საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში (საბაზრო ფასებში) სოფლის მეურნეობის ხვედრითმა წილმა 8,3% შეადგინა (საბაზისო ფასებში 9,6%).**

წინასწარი მონაცემებით, 2009 წელს, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, ნადირობისა და

თევზჭერის პროდუქციის გამოშვებამ 2,3 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 4,3%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2009 წელს, 1 სულ მოსახლეზე - 12 კგ ხორბალი, 49 კგ კარტოფილი, 41 კგ ხილი, 66 კგ სიმინდი, 12 კგ ხორცი იწარმოებოდა.

## სადაზღვევო სექტორი

**2010 წლის ივლისში, „ალდაგი ბისიაის" საპენსიო სქემის წმინდა საინვესტიციო მოგება 1,7%–ით გაიზარდა (წლიური 20,4%).**

საპენსიო ფონდის ინფორმაციით, აღნიშნული, მიმდინარე წლის წმინდა საინვესტიციო მოგების ყოველთვიურ, სტაბილურად დადებით მაჩვენებლებს შორის საუკეთესო შედეგს წარმოადგენს.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში საპენსიო ფონდის წმინდა საინვესტიციო მოგება 59,8%–ით გაიზარდა. შედეგად, საპენსიო ფონდის აქტივების ღირებულებამ თითოეულ მონაწილეზე 1,67 ლარს გადააჭარბა.

საპენსიო ფონდი „ალდაგი ბისიაი" ერთობლივად იმართება შპს „აბბი ასეტ მენეჯმენტისა" და სს „ალდაგი ბისიაის" მიერ.

საკონტაქტო პირები:

ლალი ღოღობერიძე
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
lalig@economy.ge

ეთერ მამუკელაშვილი
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი
(+99599) 16 41 96
eteri@economy.ge

# დღის ეკონომიკური სტატისტიკა

## ინდექსები

| | 12.08.10 | 13.08.10 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| NASDAQ | 2 208,63 | 2 190,27 | ▼ -0,83% |
| S&P 500 | 1089,47 | 1083,61 | ▼ -0,54% |
| Dow Jones | 10 378,83 | 10 319,95 | ▼ -0,57% |
| Georgia's Eurobond (price) | 103,99 | 103,00 | ▼ -0,95% |
| Georgia's Eurobond (yield) | 5,852 | 6,239 | ▲ 6,61% |

*წყარო :* *Yahoo Finance, Corp YAS*

## უცხოური ვალუტის კურსები (ლარი)

| | USD | EUR |
|---|---|---|
| 13.08.10 | 1,8455 | 2,3676 |
| 12.08.10 | 1,8408 | 2,3938 |
| 11.08.10 | 1,8404 | 2,4231 |
| 10.08.10 | 1,8406 | 2,4417 |
| 09.08.10 | 1,8406 | 2,4331 |




*წყარო :* *საქართველოს ეროვნული ბანკი*

## მსოფლიო ფასები (ა.შ.შ. დოლარი)

| | 09.08.10 | 10.08.10 | 11.08.10 | 12.08.10 | 13.08.10 |
|---|---|---|---|---|---|
| ნავთობი BRENT (DTD) (1 ბარელი) | 81,39 | 79,75 | 79,34 | 76,33 | 75,66 |
| ოქრო (1 უნცია) | 1206,00 | 1196,75 | 1198,00 | 1200,00 | 1215,00 |
| ვერცხლი (1 უნცია) | 18,48 | 18,09 | 18,12 | 17,92 | 18,06 |
| სპილენძი (1 კგ) | 7,420 | 7,425 | 7,225 | 7,204 | 7,180 |

*წყარო :* *MetalPrices.com, LBMA.org.uk, Yahoo Finance*

# ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

- 2009 წელს (წინასწარი მონაცემები) საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 10 745 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ, როდესაც 2004 წელს 5 125 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009* |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნომინალური მშპ (მლნ. ლარი) | 9824,3 | 11620,9 | 13789,9 | 16993,8 | 19074,9 | 17948,6 |
| მშპ-ს ზრდა | 5,9% | 9,6% | 9,4% | 12,3% | 2,3% | -3,9% |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი) | 2276,7 | 2689,1 | 3133,1 | 3866,9 | 4352,9 | 4092,8 |

* 2009 წლის მონაცემები წინასწარია


საკონტაქტო პირები:

**ლალი ღოღობერიძე**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
lalig@economy.ge

**ეთერ მამუკელაშვილი**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი
(+99599) 16 41 96
eteri@economy.ge

## მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)




*წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

## მშპ მიმდინარე ფასებში და რეალური ზრდა




## მშპ ერთ სულ მოსახლეზე (წლიური, აშშ დოლ.)




*წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

შენიშვნა:

2009 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2010 წლის ნოემბრის ბოლოს

## სამომხმარებლო ფასების ინდექსი




*წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*


საკონტაქტო პირები:

**ლალი ღოღობერიძე**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი
lalig@economy.ge

**ეთერ მამუკელაშვილი**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის
დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი
(+99599) 16 41 96
eteri@economy.ge

# სოციალური სტატისტიკა

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|
| სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა, ათასი კაცი) | 2023,9 | 2021,8 | 1965,3 | 1917,8 | 1991,8 |
| მომუშავე | 1744,6 | 1747,3 | 1704,3 | 1601,9 | 1656,1 |
| დაქირავებული | 600,5 | 603,9 | 625,4 | 572,4 | 596,0 |
| თვითდასაქმებული | 1143,3 | 1141,6 | 1078,8 | 1028,5 | 1059,0 |
| გაურკვეველი | 0,8 | 1,8 | 0,1 | 1,1 | 1,2 |
| უმუშევარი | 279,3 | 274,5 | 261,0 | 315,8 | 335,6 |
| უმუშევრობის დონე (%) | 13,8 | 13,6 | 13,3 | 16,5 | 16,9 |

შრომის უნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი (ივნისი, ლარი)




საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი (ივნისი, ლარი)




| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010* |
|---|---|---|---|---|---|
| შრომისუნარიანი მამაკაცი | 106,5 | 118,6 | 127,9 | 128,8 | 128,6 |
| საშუალო მომხმარებელი | 94,4 | 105,0 | 113,3 | 114,1 | 113,9 |
| საშუალო ოჯახი | 178,7 | 198,9 | 214,6 | 216,0 | 215,7 |

(* ივნისი, ლარებში)

*წყარო :* *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

# საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი




საგარეო ვალი (მლნ. აშშ დოლარი)





საკონტაქტო პირები:

ლალი ღოღობერიძე
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
lalig@economy.ge

ეთერ მამუკელაშვილი
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი
(+99599) 16 41 96
eteri@economy.ge










- 2009* წელს, საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 759,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 (6 თვე) |
|---|---|---|---|---|---|
| საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB) | 936,0 | 1232,4 | 1496,0 | 1130,6 | 720,7 |
| საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF) | 3677,0 | 5214,9 | 6304,6 | 4369,5 | 2230,7 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 4613,0 | 6447,3 | 7800,0 | 5500,1 | 2951,4 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში | 1190,4 | 2014,8 | 1564,0 | 759,1* | 76 ** |
| საქართველოს საგარეო ვალი | 1697,5 | 1790,0 | 2691,4 | 3381,5 | 3464,8 |

(მლნ. აშშ დოლარი) *2009 წლის მონაცემი წინასწარია

** 2010 წლის I კვარტ. მონაცემი წინ.

*წყარო :* *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ეროვნული საინვესტიციო სააგენტო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*


საკონტაქტო პირები:

**ლალი ღოღობერიძე**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
lalig@economy.ge

**ეთერ მამუკელაშვილი**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი
(+99599) 16 41 96
eteri@economy.ge

## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები




| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 3139,2 | 4469,1 | 5517,7 | 4916,9 | 5412,8 |
| გადასახადები | 2130,3 | 3010,5 | 4541,5 | 4161,7 | 4532,0 |
| სოციალური შენატანები | 502,8 | 722,0 | | | |
| გრანტები | 167,6 | 208,7 | 617,2 | 387,7 | 537,8 |
| სხვა შემოსავლები | 338,5 | 527,8 | 359,0 | 367,5 | 343 |

(მლნ. ლარი)

**შენიშვნა:** 2010 წლის მონაცემები წარმოადგენენ გეგმას

*წყარო :* *საქართველოს კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ*

## მონეტარული ინდიკატორები




| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარეზერვო ფულის მასა | 866,7 | 1007,4 | 1272,1 | 1781,8 | 1642,1 | 1851,5 |
| ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში | 676,2 | 811,4 | 929,5 | 1310,5 | 1290,7 | 1414,7 |

*წყარო :* *საქართველოს ეროვნული ბანკი*


საკონტაქტო პირები:

**ლალი ღოღობერიძე**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
lalig@economy.ge

**ეთერ მამუკელაშვილი**
ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი
(+99599) 16 41 96
eteri@economy.ge

## საკონტაქტო ინფორმაცია:

| | | |
|---|---|---|
| **ლალი ღოღობერიძე**<br>ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი | (+99532) 99 11 14 | lalig@economy.ge |
| **ეთერ მამუკელაშვილი**<br>ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი | (+99599) 16 41 96 | eteri@economy.ge |

## სასარგებლო ელექტრონული ბმულები:

| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | www.economy.ge |
|---|---|
| საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო | www.investingeorgia.org |
| საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი | www.dort.gov.ge |
| სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის და პრივაზიტების დეპარტამენტი | www. privatization.ge |
| საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო | www.gnims.caucasus.net |
| საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | www.geostat.ge |
| საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია | www.techinspection.ge |
| საწარმოთა მართვის სააგენტო | www.ema.ge |
| საქართველოს ეროვნული ბანკი | www.nbg.gov.ge |
| საქართველოს პარლამენტი | www.parliament.ge |
| საქართველოს მთავრობა | www.government.gov.ge |
| საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო | www.moe.gov.ge |
| საქართველოს ენერგეტიკის სამინიტრო | www.minenergy.gov.ge |
| საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | www.maf.ge |
| საქართველოს ფინანსთა სამინიტრო | www.mof.ge |
| საქართველოს პროფილი | www.georgia.gov.ge |